

**შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "გორგასალი"
მკაცრი აღრიცხვის ფორმის(დიპლომის) გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების
წესი**

მუხლი 1.ზოგადი დებულება

აღნიშნული წესი შემუშავებულია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების(დოკუმენტების) ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების(დოკუმენტების) რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების(დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს N669 ბრძანების N2 დანართისმე-2 მუხლის მე-2 პუნქტის„ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

მუხლი 2.მკაცრი აღრიცხვის ფორმები

შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "გორგასალი" (შემდგომ უნივერსიტეტი) მკაცრი აღრიცხვის ფორმას განეკუთვნება დიპლომის ფორმა.

2 „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“საქართველოს კანონისმე-3მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, დიპლომის ფორმა განეკუთვნება მესამე კატეგორიის, „მარტივი ტიპის“ მკაცრი აღრიცხვის ფორმას და აქვს არაუმეტეს 3 დამცავი ნიშანი.

მუხლი 3.მკაცრი აღრიცხვის ფორმებით მომარაგება

1. მკაცრი აღრიცხვის ფორმებით უზრუნველყოფას უნივერსიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად.
2. მკაცრი აღრიცხვის ფორმების შეკვეთას უნივერსიტეტი აწარმოებს„მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-7 მუხლის თანახმად,შესაბამის პოლიგრაფიულ საწარმოსთან ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.
3. პოლიგრაფიული საწარმოდან მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოტანას და უნივერსიტეტის ცენტრალურ საწყობში შემოტანას უზრუნველყოფს პოლიგრაფიული საწარმო.

მუხლი 4. მკაცრი აღრიცხვის ფორმების შენახვა

1. მკაცრი აღრიცხვის ფორმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად.
2. მკაცრი აღრიცხვის ფორმა ინახება ცეცხლგამძლე კარადაში.
3. სათავსო, სადაც ინახება მკაცრი აღრიცხვის ფორმები, ხელშეუხებელია გარეშე პირთათვის და სათანადოდაა დაცული დაზიანებისაგან.
4. მკაცრი აღრიცხვის ფორმების შენახვას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

მუხლი 5. მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემა და/ან შევსება

მკაცრი აღრიცხვის ფორმები ივსება და გაცემა რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების მიერ.

მუხლი 6. გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაუქმება და განადგურება

1. გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმები უქმდება შევსების დროს დაშვებული შეცდომისა და ფიზიკური დაზიანების გამო.
2. გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმის გაუქმებას აქტით ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული მუდმივმოქმედი კომისია.
3. მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა–უტილიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 7. მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალი

მკაცრი აღრიცხვის ფორმები ფიქსირდება სარეგისტრაციო ზონარგაყრილ ჟურნალში.

მუხლი 8. მკაცრი აღრიცხვის ფორმების აღრიცხვა-ანგარიშგება

მკაცრი აღრიცხვის ფორმების ხარჯვის, ნაშთისა და წუნის შესახებ ყოველი კვარტლის ბოლოს კეთდება ანგარიში.

-----წლის ----- შედგა -----

შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "გორგასალი" მკაცრი აღრიცხვის ფორმებისა და დოკუმენტების გაუქმებისა და განადგურების მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა

№	მკაცრი აღრიცხვის ფორმის სახე	მკაცრი აღრიცხვის ფორმის №	მკაცრი აღრიცხვის ფორმის სარეგისტრაციო №	გაუქმების მიზეზი

კომისია ხელმოწერით ადასტურებს აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების(ან დოკუმენტების) გაუქმებას

- 1.
- 2.
- 3
- 4.
- 5.